1 ივნისი ბავშვთა დაცვის დღეა!

ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

1 ივნისი
ხუთშაბათი
2023 წელი
№23 (9285)
ფასი 40 თეთრი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის პარტიული კონფერენცია

24 მაისს ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრში გაიმართა პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ კონფერენცია.

კონფერენციაზე მოხსენებით გამოვიდა „ქართული ოცნების“ პოლიტიკური მდივანი **ირაკლი კობახიძე,** რომელმაც ვრცლად ისაუბრა როგორც ქვეყნის საგარეო, ისე საშინაო ურთიერთობის საკითხებზე. მკაფიოდ გააანალიზა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, ხაზი გაუსვა მიღწეულ წარმატებებს, ამასთან აღნიშნა, საერთაშორისო ორგანიზაციების და ოპოზიციის მხრიდან ხელისშემშლელ მოქმედებებზე, საპარლამენტო საქმიანობის შუქ-ჩრდილებზე, ვრცლად ისაუბრა ევროსაბჭოდან მიღებულ რეკომენდირებულ 12-პუნქტიან დავალების შესრულებაზე, ქართველი ხალხის ევროპულ ოჯახში გაერთიანებაზე, ქვეყანაში მშვიდობის შენარჩუნების მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებზე და დესტრუქციული ძალების მხრიდან ძალდატანებაზე, როგორიც რუსეთის წინააღმდეგ გაიხსნას მეორე ფრონტი და საქართველო ჩაითრონ ომში. არგუმენტირებული მსჯელობით მკაფიოდ გამოიკვეთა საქართველოს შემდგომი განვითარების პერსპექტივა, ამასთან დამსწრე საზოგადოებას მოუწოდა სიმშვიდისაკენ და ხაზგასმით აღინიშნა, რომ ქვეყნის ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ომი და დაძაბული სიტუაციები აარიდოს ქართველ ხალხს, ხაზი გაუსვა სამომავლო განვითარების პერსპექტიულ გეგმებს.

კონფერენციაზე სიტყვებით გამოვიდა „ქართული ოცნების“ გენერალური მდივანი, ქალაქ თბილისის მერი **კახა კალაძე,** „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივანი **მამუკა მდინარაძე,** სამცხე-ჯავახეთის მხარის რწმუნებული **ბესიკ ამირანაშვილი,** ბორჯომის, ახალციხის, ადიგენის და ასპინძის მაჟორიტარი დეპუტატი **ანტონ ობოლაშვილი.**

კონფერენციაზე პარტია „ქართული ოცნების“ მუნიციპალური ორგანიზაციის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი **ოთარ არბოლიშვილი.**

ბიუროს წევრებად არჩეულები არიან ბორჯომის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **ნიკოლოზ კიკნაძე,** №3 საჯარო სკოლის დირექტორი, საკრებულოს დეპუტატი **სათუნა სარაჯიშვილი,** საკრებულოს დეპუტატები **მამუკა ხითარიშვილი, ანდრუშ ირიციანი, რევაზ ლაშხი,** მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციუმრუნველყოფის განყოფილების ხელმძღვანელი **ირინა ალბორიშვილი,** მერიის საქმის წარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - **ლეილა ნოზაძე,** №3 საჯარო სკოლის პედაგოგი - **აკაკი გელაშვილი,** ბორჯომის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი **- გიორგი გელაშვილი.**

საზეიმოდ აღინიშნა საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

26 მაისს ეროვნული დღესასწაული ბორჯომელებს მიუღოცეს საკრებულოს თავმჯდომარემ **დავით ზაალიშვილმა,** მერის მოადგილემ **გიორგი ტაბატაძემ** და დეკანოზმა **იოანე ხეცურიანმა.**

მერაბ კოსტავას სახელობის სკვერში კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან არსებული ვოკალური და ქორეოგრაფიული ანსამბლების მონაწილეობით ღონისძიება გაიმართა.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ცეკვა ხორუმით გაიხსნა.

ვულოცავ ჩვენს უმთავრეს ეროვნულ დღესასწაულს - 26 მაისს მთელ საქართველოს, თითოეულ მოქალაქეს. ეს ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დღესასწაულია, რომელიც 1918 წლიდან, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნიდან, იღებს სათავეს.

26 მაისი ყველაზე ძვირფასი დღეა ჩვენს ცნობიერებაში. არაერთი თაობა იბრძოდა საქართველოს თავისუფლების მოპოვებისთვის და განმტკიცებისთვის.

32 წელია საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანაა. თითოეულ ჩვენგანის ვალია გაუფრთხილდეს ამ მონაპოვარს,- განაცხადა ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ **გიორგი ტაბატაძემ.**

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

25 მაისს გაიმართა ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე დავით ზაალიშვილი.

დეპუტატებმა მოისმინეს ინფორმაცია, ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტალის შესრულების შესახებ.

ცვლილებები შეიტანეს მთელ რიგ დადგენილებებში „ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხის და თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრის შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 მარტის №8 დადგენილებაში „ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 მარტის №11 დადგენილებაში „ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 აპრილის №75 დადგენილებაში.

იმსჯელეს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით და ნარჩენების მართვის კოდექსით გათვალისწინებული თვითმმართველობის უფლებამოსილების მიკუთვნებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოებისათვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის, საჯარო ქვითრითა და საქმის წარმოების დოკუმენტების ფორმების, მათი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების, ჯარიმის გადახდის, გასაჩივრებისა და სააღსრულებლო ფურცლის გამოწერის წესის დამტკიცების შესახებ;

ცვლილებები „სსიპ ბაკურიანის განვითარების სააგენტოსთვის მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის, საჯარო ქვითრისა და საქმისწარმოების დოკუმენტების ფორმების, მათი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების, ჯარიმის გადახდის, გასაჩივრებისა და სააღსრულებლო ფურცლის გამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 ივლისის №79 დადგენილებაში;

ასევე ცვლილებები შეიტანეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2016 წლის 28 ივნისს დადებულ №208 იჯარის ხელშეკრულებაში;

მოისმინეს მერის მოადგილის გ. ტაბატაძის ინფორმაცია ბორჯომის მუნიციპალიტეტის უნფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახურის ინფორმაცია 2023 წელს დაგეგმილი და განხორციელებული სამუშაოების შესახებ და ა(ა)იპ „ბორჯომის სოფლის წყალი“-ს დირექტორის გიორგი ოქრუაშვილის ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

საქართველოს რეგიონების დეზინფორმაციისადმი მედეგობის ინდექსი

ბაკურიანში, 23 მაისს, სასტუმრო „ჰოლიდეი ინში“ არასამთავრობო ორგანიზაცია **„მედიის, ინფორმაციის და სოციალური კვლევების ცენტრმა“ წარადგინა კვლევა თემაზე „საქართველოს რეგიონების დეზინფორმაციისადმი მედეგობის ინდექსი“.**

დოკუმენტი დაინტერესებულ პირებს და მოქალაქეებს საშუალებას აძლევს გაეცნონ იმ ფაქტორებს, რომლებიც ადგილობრივი ექსპერტების აზრით, საქართველოს რეგიონების დეზინფორმაციისადმი მედეგობას უშლის ხელს.

კვლევის გაცნობის შემდეგ გაიმართა პანელური დისკუსია, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ **ეკატერინე ბასილაია,** კვლევის ხელმძღვანელი და თანაავტორი; **მამუკა ანდღულაძე** - კვლევის თანაავტორი, **ნათია კუპრაშვილი** - „რეგიონულ მაუწყებელთა ალიანსის“ დირექტორი, **გიორგი მუჩაიძე** - „ატლანტიკური საბჭოს“ აღმასრულებელი დირექტორი; დოქტორი **მაია მიქაშავიძე** - ინტერნიუსის რეგიონული პროექტის დირექტორი, **სანდრო გიგაური** - „მედიის განვითარების ფონდის“ მითების ლაბორატორიის მკვლევარი.

საქართველოს რეგიონების დეზინფორმაციისადმი მედეგობის ინდექსი „მედიის, ინფორმაციის და სოციალური კვლევების ცენტრის“ მკვლევარებმა შეიმუშავეს აშშ-ის საელჩოს საქართველოს მიერ დაფინანსებული პროექტის - „დეზინფორმაციისადმი მედეგობის შეფასება საქართველოში“ ფარგლებში.

2023 წლის 23 მაისს არასამთავრობო ორგანიზაციამ „მედიის, ინფორმაციის და სოციალური კვლევების ცენტრი“ წარადგინა კვლევის ანგარიში სახელწოდებით „საქართველოს რეგიონების დეზინფორმაციისადმი მედეგობის ინდექსი“ https://cmis.ge/projects/rdri/ka.

კვლევის ძირითადი მიგნებები

რეგიონების მედეგობა ოთხი კატეგორიის მიხედვით შეფასდა. ესენია:

ადგილობრივი ხელისუფლების მედეგობა;

პოლიტიკური პარტიების და პოლიტიკოსების მედეგობა;

საინფორმაციო გარემოს მედეგობა;

საზოგადოების მედეგობა.

საქართველოს თერთმეტივე რეგიონი 42-დან 54 ქულის ფარგლებში მოექცა, რაც ნიშნავს, რომ ყველა რეგიონში, დეზინფორმაციისადმი მედეგობის ხარისხი ყველა რეგიონში ერთნაირად პრობლემატურია და ახლოსაა საშუალო მაჩვენებელთან.

ადგილობრივი ხელისუფლების მედეგობა

კვლევაში მონაწილე ექსპერტებმა ყველა რეგიონიდან ერთხმად აღნიშნეს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების დამოუკიდებლობის დაბალი ხარისხი, რაც მიუთითებს ადგილობრივ თვითმმართველობაზე ცენტრალური ხელისუფლების ძლიერ გავლენაზე. ეს კი ხელს უშლის რეგიონულ მმართველობას ადგილობრივ გამოწვევებს თავისი მანდატის შესაბამისად უპასუხოს. ამ მხრივ, სხვა რეგიონებთან შედარებით განსაკუთრებულად კრიტიკულად შეფასდა თბილისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოები.

ექსპერტები ადგილობრივი ხელისუფლების გამჭვირვალობის დაბალ ხარისხზეც საუბრობენ. ეს, მათი შეფასებით, განაპირობებს როგორც საზოგადოების, ასევე არასამთავრობო სექტორის და მედიის ინფორმირებულობის დაბალ ხარისხს ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობასთან დაკავშირებით.

ექსპერტებმა ხაზი გაუსვეს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების მხრიდან ე.წ. „მონიტორინგის“ (voCdogi) ტიპის **არასამთავრობო ორგანიზაციების და დამოუკიდებელი მედიასაშუალების მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას და მათთან მიმდინარე მოვლენებსა და საკითხებზე კომუნიკაციის ნაკლებობას. უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეულ მუნიციპალიტეტში, შესაძლოა, უკეთესი მდგომარეობა იყოს საკრებულოს ან მერიის შემთხვევაში, თუმცა, ეს უფრო გამონაკლისია და ზოგად ტენდენციად გამჭვირვალობის ნაკლებობა რჩება.**

ერთი შემთხვევის გარდა, არცერთი რეგიონის ექსპერტს არ უხსენებია დეზინფორმაციის და ანტიდასავლური პროპაგანდის წინააღმდეგ თუ საზოგადოების მედიანიგნერების ამაღლების მიზნით გატარებული ღონისძიებები. **უფრო მეტიც, რამდენიმე რეგიონის მუნიციპალიტეტიდან ექსპერტები ადგილობრივი თვითმმართველობების თანამშრომლების მხრიდან საკუთარი სოციალური მედიის გვერდებზე ცენტრალური ხელისუფლების მიერ გავრცელებული დეზინფორმაციული და დისკრედიტაციული შინაარსის შემცველი მასალების გაზიარების ფაქტებს აღნიშნავენ.**

ექსპერტების შეფასებით, ხელისუფლების ინტეგრაციის პოლიტიკა თუ ქმედებები ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში (ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, კახეთი) არ არის ეფექტური. ისინი მიიჩნევენ, რომ სახელმწიფოს არ გააჩნია სათანადო სტრატეგიული ხედვა, როგორ გაუმკლავდეს გამოწვევებს.

პოლიტიკური პარტიების და პოლიტიკოსების მედეგობა

პოლიტიკური პარტიებისა და პოლიტიკოსების მედეგობის შეფასებისას ექსპერტებმა ხაზი გაუსვეს იმ ფაქტს, რომ პოლიტიკური აქტიურობა დედაქალაქში რეგიონებთან შედარებით მაღალია. მათი თქმით, (ოპოზიციური) პარტიების უმრავლესობა რეგიონებში წინასაარჩევნო პერიოდში აქტიურდება, რაც განაპირობებს მდარე პოლიტიკურ ცხოვრებას. შესაბამისად, ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებსა და პრობლემებზე დისკუსიაც შეზღუდულია.

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ პარტიული პოლარიზაცია, რაც ცენტრალურ დონეზე განსაკუთრებულად მწვავედ იგრძნობა, ნაკლებად შესამჩნევია რეგიონებში, თუმცა, პოლარიზება რეგიონებსაც სწვდება და ადგილობრივი პოლიტიკოსების საქმიანობაზეც აისახება. ეს კი ხელს უშლის კონსტრუქციული დიალოგის და კონსენსუსის გზით გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. მაგალითად, იმერეთის საკრებულოს საქმიანობის შეფასებისას ერთ-ერთმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ ოპოზიციური ფრაქციის მიერ დაყენებულ საკითხებს საკრებულო ხშირად არცკი განიხილავს.

თითქმის ყველა რეგიონის ექსპერტი საუბრობს მმართველი პარტიის ადგილობრივი პოლიტიკოსების მხრიდან მედიის და სამოქალაქო სექტორის მიმართ დისკრიმინაციულ განწყობებზე. ექსპერტების უმრავლესობის შეფასებით, ზოგადად, დეზინფორმაციის გავრცელებით მმართველი პარტია გამოირჩევა, თუმცა, ზოგიერთ რეგიონში ოპოზიციური პარტიების მხრიდან ოპონენტების საწინააღმდეგოდ მიმართული დეზინფორმაციის გავრცელების ფაქტებიც აღნიშნეს. ზოგიერთ რეგიონში ექსპერტებმა ისაუბრეს „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ მხრიდან კრემლის დეზინფორმაციის გავრცელების ფაქტებზე, თუმცა, ექსპერტების უმრავლესობა ამბობს, რომ ამას განსაკუთრებული გავლენა არ აქვს საზოგადოებრივ აზრზე.

საინფორმაციო გარემოს მედეგობა

საინფორმაციო გარემოს შეფასებისას თბილისსა და სხვა რეგიონებს შორის მკვეთრი განსხვავება იკვეთება. თბილისი გამოირჩევა მედიაპოლარიზაციის მაღალი ხარისხით, გამომდინარე იქედან, რომ ეროვნული მაუწყებლების უდიდესი ნაწილი, რომელთაც გამოკვეთილი პოლიტიკური პრეფერენციები აქვთ, სწორედ თბილისში არიან თავმოყრილნი. ექსპერტების შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ სხვა რეგიონებშიც არიან ჩროსახელისუფლებო და პროოპოზიციური ორიენტაციის მედიასაშუალებები, პოლარიზაცია ნაკლებად იგრძნობა.

(გაგრძელება მეორე გვერდზე)

შევაჩეროთ ქართველთა დემოგრაფიული სიკვდილი!

30 აპრილს, თბილისში სამოქალაქო საზოგადოების ფართომასშტაბიან აქციაზე გამოსვლისას პოლიტოლოგმა, ირაკლი გოგოვამ განაცხადა: - 30 წელია საქართველოში ვაკვირდებთ ლიბერალურ კაპიტალიზმს, გვეხმარებიან უცხოეთიდან და მივიღეთ ის, რაც დღეს გვაქვს. როგორ ხდება რომ ჩვენი მეგობრები არიან მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ქვეყნები და ჩვენთან კვლავ არის უმუშევრობა, სიღარიბე, დაბალი ხელფასები, დაბალი პენსიები, ყველაზე დაბალი შობადობა და კატასტროფული დემოგრაფიული პრობლემები?

გასაგებია, რომ ლიბერალურმა კაპიტალიზმმა არ გაამართლა და საჭიროა, საქართველომ დაიწყოს საკუთარი სუვერენული ეკონომიკური პოლიტიკის გატარება... დღეს დადგა დრო, როდესაც ხმალი ქარქაშში დაქანგდა, ამოვიღოთ და დავიცვათ ღმერთი, ოჯახი და სამშობლო.



ყოველწლიურად გაზეთ „ბორჯომში“ ვაქვეყნებ რაიონში მოსახლეობის დემოგრაფიული პრობლემების თაობაზე წერილებს, მაგრამ მდგომარეობა ადგილიდან არ იძვრის, პირიქით, პრობლემა წლიდან წლამდე უარესდება. ადრეც არაერთხელ მითქვამს და დამიწერია, გაერომ საქართველო 2050 წლისათვის სხვა რამდენიმე ქვეყანასთან ერთად „მომაკვდავ ერად“ გამოაცხადა, რაც იმას ნიშნავს, რომ 2050 წლისათვის ქართველების რიცხვი 30 პროცენტით შემცირდება და ჩვენს სამშობლოში დომინანტად ანუ უმრავლესობით მოვლენ სხვა ეროვნების ადამიანები. ამის ნიშნები ჩვენში უკვე გამოჩნდა. ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ვწერდი, რომ ქართველებმა ემიგრაციაში წასვლით ევროპაში საპატიო ათეულში მყარად დაიმკვიდრეს ადგილი. სამაგიეროდ უცხოტომელები, არაბული ქვეყნებიდან მოგვიმრავლდნენ. თუ აქამდე ვამაყობდით, რომ ქართული გვარებიდან ბერიძეები „ჩემპიონობდნენ“, ახლა საქართულოს გვარების სათავეში მამედოვ-ალიევები იყოფენ პირველ-მეორე ადგილებს.

დემოგრაფიული სიტუაცია სრულიად საქართველოში და კერძოდ, ბორჯომში საგანგაშო ნიშნულს უახლოვდება. თუ გასული საუკუნის 70-80 წლებში ბორჯომში წელიწადში 650-680 ბავშვი იბადებოდა (1990 წელს 755 ბავშვი დაიბადა), ახლა ახალშობილთა შობადობა კატასტროფულია. 2002 წლის აღწერით ბორჯომის რაიონში 395 ბავშვი დაიბადა. 2014 წელს - 351, ხოლო 2022 წელს - 116. 2014 წელს გარდაიცვალა 406 ადამიანი, ხოლო 2022 წელს 226.

თუ 1989 წლის საყოველთაო აღწერით ბორჯომის რაიონში ცხოვრობდა 38973 ადამიანი, 2002 წლის აღწერის მონაცემებით რაიონის მოსახლეობა 6551 ადამიანით შემცირდა და დარჩა 32422. მომდევნო საყოველთაო აღწერა 2014 წელს ჩატარდა, ამჯერად რაიონში 25214 ადამიანი ცხოვრობდა. წინა 2002 წლის აღწერიდან განვლილ 12 წელიწადში რაიონში მოსახლეობა კიდევ 7208 ადამიანით შემცირდა. 2022 წელს მოსახლეობა 514 ადამიანით შემცირდა და ამჟამად რაიონში ცხოვრობს 24700 ადამიანი. ქალაქ ბორჯომში 1989 წელს 18 ათასამდე ადამიანი ცხოვრობდა, ამჯერად 10 ათასზე ოდნავ მეტია რაიონში მოსახლეობის მიგრაცია კატასტროფულად გაიზარდა. ყოველი მესამე-მეოთხე ბინა დაკეტილია. მეპატრონე ემიგრაციაშია წასული. იძულებითი მიგრაციის თაობაზე წინა ნომერშიც ვწერდი. რაიონის და რესპუბლიკის გარეთ წამსვლელთა უმთავრესი მიზეზი ცნობილია, ადამიანს სარჩო-საბადებელი ესაჭიროება და ჩვენი თანამემამულეები საზღვარგარეთ ისეთ რთულ სამუშაოს ასრულებენ, რომელიც ენით აუწერელია და ხშირად ადამიანის ღირსებისათვის შეურაცხმყოფელიცაა. იძულებით ემიგრაციაში წასვლა გაჭირვებამ განაპირობა.

თუ სახელმწიფომ რადიკალური ღონისძიებები არ განახორციელა ეკონომიკის ასაღორძინებლად, ახალი დარგების განსავითარებლად და ახალგაზრდა კადრების აღსაზრდელად პრობლემები კიდევ უფრო თვალსაჩინო იქნება.

გულისტკივილით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დღეს ღარიბ და სოციალურად დაუცველ ოჯახებს უფრო მეტი შვილი ყავთ, ვიდრე სიმდიდრეში მყოფ ადამიანებს. როგორც ჩანს, სიმდიდრე და მოყირჭებული ცხოვრება არაა მრავალი შვილის გაჩენის საფუძველი. მთავარი და განმსაზღვრელია ქვეყნის პატრიოტიზმი, სამშობლოს, ერის სიყვარული.

საქართველოს პატრიარქის ილია მეორის მიერ გაწეული ღვაწლი ერის გამრავლებისათვის არ კმარა, ხელისუფლებამ ქმედითი ღონისძიებები უნდა განახორციელოს ქვეყანაში დემოგრაფიული პრობლემების დადებითად გადაწყვეტისათვის. ეს არის ახლა უპირველესი საზრუნავი, თორემ საქართველოს ტერიტორია დაუსახლებელი ნამდვილად არ დარჩება.

რესპუბლიკის სტატისტიკური დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ მონაცემებში დასამშვიდებელი ბევრი არაფერია. ქვეყანაში იმიგრანტთა ზრდა უკრაინის ომმა განაპირობა. ბევრი უკრაინიდან და რუსეთიდან შემოვიდა. 30 წელიწადია, რაც ჩვენს სამშობლოში დემოგრაფიული ვითარება წლიდან წლამდე უარესდება. მცირდება შობადობა, იზრდება მოკვდავობის და მიგრაციის პროცესები.

თუ 1990 წლის მონაცემებით საქართველოში 100000-90000 ბავშვი იზრდებოდა, (შესაბამისად ბორჯომის რაიონში 625 ბავშვი). ახლა მისი ნახევარიც არ იბადება. განსაკუთრებით შემაშფოთებელია გოგონების დაბადების მაჩვენებელი. თუ 1980-1990 წლებში საქართველოში 453 ათასი გოგონა დაიბადა, 2000-2009 წლებში მხოლოდ 23600 გოგონა შეემატა ქვეყანას. 90-იან წლებში დაბადებულმა გოგონებმა დაამთავრეს გამრავლების პროცესი, ახლა 2000 წელს დაბადებულების გამრავლების პროცესი მიმდინარეობს, სწორედ ზემოთ შემცირებული შობადობის პროცესის შედეგია ერის შემცირების მაჩვენებელი.

ერის გამრავლების პროცესი მომავალ წლებშიც შემცირდება, ასევე ითქმის ქორწინების მაჩვენებელზე, 2022 წელს რეგისტრირებულია 26048 ქორწინება, ხოლო განქორწინდა 1408, ბორჯომის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 71 ქორწინება, განქორწინდა 29, თითქმის ნახევარი.

ამავე პერიოდში საგრძნობლად შემცირდა ახალგაზრდა მამაკაცების გარდაცვალების მაჩვენებელი, თუ 1018-2019 წლებში 46 ათასი კაცი გარდაიცვალა, მაგრამ კორონავირუსის წლებში 2020 და 2021 წლებში შესაბამისად 50 და 59,9 ათასი ადამიანი გარდაიცვალა, ანუ ამ წლებში იმდენი ადამიანი გარდაიცვალა, რამდენიც მაგალითად ტყიბულში, მესტიასა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებშია მილიონი მოსახლეობა.

მეტად მნიშვნელოვანი პრობლემაა ქვეყნიდან შრომისუნარიანი მოსახლეობის მიგრაცია საზღვარგარეთ. თუ ეს პროცესი არ შეჩერდა, 5-6 წელიწადში საქართველოს რეგიონები (დიდი ქალაქების გარდა) სერიოზულად დაიცლება. თუნდაც ბორჯომის მაგალითი ავიღოთ, თუ 1989 წლის აღწერით რაიონში ცხოვრობდა 38973 ათასი ადამიანი, 2014 წლის აღწერისას მოსახლეობის რაოდენობა 25 ათასამდე შემცირდა. ანუ 1989 წლიდან 2022 წლამდე პერიოდში, (34 წელიწადში) მოსახლეობა 14 ათასით შემცირდა, თუ პროცესი არ შეჩერდა მომდევნო ორი აღწერის პერიოდში მუნიციპალიტეტში 10-12 ათასი ადამიანი დარჩება, ეს კი უდიდესი დანაკლისი იქნება ჩვენი ხეობისათვის.

ისტორიულად ქართველი კაცი იშვიათად ტოვებდა საკუთარ მიწაწყალს და ოჯახს. სხვათაშორის საბჭოთა კავშირში ჩატარებული კვლევებით დადგენილია, რომ ქართველების 96 პროცენტი საქართველოში ცხოვრობდა, სომხეთში სომხების - 84 პროცენტი, ხოლო აზერბაიჯანში აზერბაიჯანელთა 86 პროცენტი. ქართველი კაცი მიჯაჭვული იყო საკუთარ სამოსახლოსა და კერას არ ტოვებდა. ისტორიული ბედუკუღმართობის გამო თუ უხდებოდა მშობლიური კუთხის დატოვება და მისი უკანასკნელი სურვილი საქართველოში დასაფლავება იყო. **დღეს ქართველთა ემიგრაციული ბუმი ქართველთა დემოგრაფიული სიკვდილის ბრალია.**

როგორც ცნობილი დემოგრაფი, პროფესორი **ანზორ თოთაძე** აცხადებს, ახალგაზრდებთან ჩატარებული გამოკვლევით არც თუ სახარბიელო დასკვნამდე მივიდა. ახალგაზრდებს დაუსვა კითხვა, **მიდიხართ საზღვარგარეთ ან აპირებთ, თუ არა წასვლას დროებით სამუშაოდ, ან მუდმივად საცხოვრებლად?**

ვაჟების 22 პროცენტი არ აპირებს წასვლას, დანარჩენი მიდის. აქედან 36 პროცენტი აცხადებს, რომ მიდის სასწავლებლად. გამოკითხულთა გოგონების 10 პროცენტი სამუდამოდ წასვლას აპირებს. ეს კი მეტად მძიმე დასკვნაა.

მეტად სამწუხაროა, ისიც რომ, მოსახლეობის დიდმა ნაწილმა არ იცის, საქართველოში არსებული დემოგრაფიული პრობლემები და არც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხებითაა დაინტერესებული. მეტად გაუგებარია ხელისუფლების დამოკიდებულება დემოგრაფიული პრობლემებისადმი, ამ მხრივ არც სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის აქტიურობა იგრძნობა. დროა, თუ დაგვიანებული არაა დემოგრაფებმა, სოციალური დარგის სპეციალისტებმა და საზოგადო მოღვაწეებმა ხელისუფლებას წარუდგინოს დემოგრაფიული პრობლემების დაძლევის საფუძვლიანი პროგრამა, წინააღმდეგ შემთხვევაში თუ ასეთი გულარხეინი დამოკიდებულება გაგრძელდება ამ მეტად მნიშვნელოვანი პრობლემისადმი, შესაძლოა სულ მალე ქართველები საქართველოში უმცირესობაში აღმოვჩნდეთ და გულგრილმა დამოკიდებულებამ კატასტროფამდე მიგვიყვანოს. ამის პრეცედენტი უკვე სახეზეა. თუნდაც ის, რომ საქართველოში შემოსული უცხოტომელები თავისუფლად ყიდულობენ მიწებს და საცხოვრებელ ბინებს, საქართველოში მცხოვრებმა აზერბაიჯანელებმა 800 ათას დადაჭარბეს, სერიოზულად იზრდება სომხების, ირანელების, თურქებისა და სხვა ერის წარმომადგენელთა რიცხვიც. გვახსოვდეს, საქართველოს ღვთით კურთხეული მიწა დაუსახლებელი არ დარჩება. **ქართველთა დემოგრაფიული სიკვდილი უნდა შევაჩეროთ.**

ვალერიან ლომიძე.

საქართველოს რეგიონების დეზინფორმაციებისადმი შედეგების ინდექსი

(დასასრული)

ისინი აღნიშნავენ, რომ პოლიტიკური პრეფერენციების მიუხედავად, ადგილობრივი მედიასაშუალებების გაშუქება მეტ-ნაკლებად უფრო დაბალანსებულია, ვიდრე ცენტრალური მედიასაშუალებების. ზოგადად, ექსპერტები ჯანსაღი საინფორმაციო გარემოს შენარჩუნებისთვის ხაზს უსვამენ დამოუკიდებელი მედიასაშუალებების როლს. ამასთან, ექსპერტების უმრავლესობის შეფასებით, რეგიონებში მედიასაშუალებების მფლობელობა მნიშვნელოვნად გამჭვირვალეა და ცნობილია საზოგადოებისთვის.

შეფასებული 11 რეგიონიდან, მცხეთა-მთიანეთში არ არსებობს საინფორმაციო მედიასაშუალება და მოსახლეობის ნაწილი (დუშეთის მუნიციპალიტეტში) ერთი ადგილობრივი სპეციალიზებული ტელევიზიის საშუალებით ეცნობა ადგილობრივი თემისთვის საინტერესო ამბებს. ამასთან ერთად, ინფორმაციას რეგიონის მოსახლეობა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსებული გაზეთებიდანაც იღებს. მსგავსია მდგომარეობა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში, სადაც მოსახლეობისთვის ადგილობრივ ამბებზე ინფორმაციის ძირითადი წყარო, გარდა ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული მედიებისა, არის ერთი დამოუკიდებელი ონლაინ მედიასაშუალება.

სამცხე-ჯავახეთის მედიაგარემო, რომელსაც სხვა რეგიონებთან შედარებით უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც მაღალი შეფასება ჰქონდა, ექსპერტების თქმით, მრავალფეროვანი და დაბალანსებულია და ჟურნალისტები „არ ერიდებიან მწვავე საკითხების გაშუქებას“. მსგავსი შეფასება გაკეთდა ქვემო ქართლის და გურიის ადგილობრივ მედიასაშუალებებთან დაკავშირებითაც.

ექსპერტები საუბრობენ დამოუკიდებელი მედიების გამოწვევებზე, რომელთა შორის ყველა რეგიონში ახსენეს ხელისუფლების მხრიდან ზეწოლისა და ფინანსური მდგრადობის საკითხი. ფინანსურმა არამდგრადობამ განაპირობა 2023 წელს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში დამოუკიდებელი საინფორმაციო ინტერნეტპორტალის დახურვა ექსპერტები ამბობენ, რომ ეს უარყოფით გავლენას მოახდენს რეგიონის საინფორმაციო გარემოზე, პირველ რიგში, ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიის მოსახლეობის ინფორმირების კუთხით. ზოგადად, ადგილობრივი ტელეარხების უმრავლესობას ყოველდღიური საინფორმაციო გადაცემების მომზადებისთვის საჭირო ფინანსური რესურსები ხშირად არ გააჩნია. კახეთის რეგიონში დეზინფორმაციულ გამოწვევებთან გამკლავების ეფექტურ საშუალებად საგამომიებო ჟურნალისტიკის განვითარების აუცილებლობას გაუსვეს ხაზი.

ექსპერტებმა ყველა რეგიონიდან ისაუბრეს სამოქალაქო ორგანიზაციების წვლილზე რეგიონის მოსახლეობის განვითარების, ადამიანის უფლებების, დემოკრატიული ღირებულებების ჩამოყალიბების პროცესში. თუმცა, მათი ნაწილი ასევე აღნიშნავს, რომ ე.წ. „გონგო“, იგივე მთავრობის გავლენის ქვეშ მყოფი არასამთავრობო ორგანიზაციებიც მოქმედებენ, რომლებიც სახელისუფლებო პოლიტიკას ატარებენ. რამდენიმე რეგიონში აღინიშნა ფაქტჩეკერების წვლილი საინფორმაციო გარემოს გაჯანსაღების პროცესში.

ერთ-ერთი ექსპერტის განცხადებით, ვინაიდან არ არსებობს ყველა ადგილობრივი მედიის მონიტორინგის შესაძლებლობა, მისი შეფასებები ძირითადად პირად დაკვირვებებსა და პროფესიული წრეების განცხადებებს ეყრდნობა. ადგილობრივი მედიასაშუალებების შეფასების სიმწირე თითქმის ყველა რეგიონში გამოიკვეთა.

საზოგადოების მედეგობა

მოსახლეობის შეფასებისას ექსპერტები აღნიშნავენ, რომ მოსახლეობის დიდ ნაწილს სურს დემოკრატიულ სახელმწიფოში ცხოვრება, ისევე როგორც ევროკავშირში ინტეგრაცია. ექსპერტების შეფასებით, ის, რომ მოსახლეობის დიდ ნაწილს შეუძლია კრიტიკულ დროს სწორი არჩევანის გაკეთება, დასტურდება 2023 წლის მარტის მოვლენებითაც (ე.წ. „რუსული კანონის“ მიღების წინააღმდეგ გამართული მასობრივი საპროტესტო აქციები). ზოგიერთი ექსპერტის აზრით, საზოგადოების მიერ პროევროპული არჩევანის გაკეთების სასარგებლოდ მოქმედებს ინტერნეტის გავრცელება, ახალგაზრდების მიერ ტექნოლოგიების ფლობა, მეტი გახსნილობა, მოსახლეობის ნაწილის დასავლეთის ქვეყნებში ცხოვრების გამოცდილება.

ექსპერტები თითქმის ყველა რეგიონიდან საუბრობენ იმ გამოწვევებზეც, რომელთა წინაშეც დგას მოსახლეობა და რომელთა აღმოფხვრა მნიშვნელოვანია საზოგადოების მედეგობის გასაძლიერებლად. ამ გამოწვევებს შორის არის მოსახლეობის მედიაწიგნიერების დაბალი დონე, რაც ექსპერტებმა ყველა რეგიონში აღნიშნეს. იმ რეგიონებში, სადაც კომპაქტურად არიან დასახლებული არადომინანტური ეთნიკური ჯგუფები, სახელმწიფო ენის ცოდნა კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება, რაც ხელს უშლის მოსახლეობის ნაწილს სრულყოფილად მიიღოს გადამოწმებული და ფაქტებზე დაფუძნებული ინფორმაცია ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ და პოლიტიკურ მოვლენებზე.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან წლების განმავლობაში მედიის და არასამთავრობო სექტორის წინააღმდეგ მიმართული დისკრედიტაციული კამპანები ადგილობრივ მოსახლეობაზეც ახდენს გავლენას. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლების თავდასხმის ობიექტი ცენტრალური მედიებია, როგორც წესი, **ზოგადად მედია, როგორც ინსტიტუტი და მისი რეპუტაცია საზოგადოების თვალში დაზიანდა.**

ოკუპირებული ცხინვალის მოსაზღვრე შიდა ქართლის რეგიონის მოსახლეობაში კრემლის დეზინფორმაციის წარმატებისთვის ნოყიერ ნიადაგს ქმნის, ექსპერტების თქმით, დაუცველობის განცდა, რომელიც რუსეთთან მიმართებაში აქვთ. ამის მიზეზად ექსპერტები სახელმწიფოს და ადგილობრივი ხელისუფლების მიდგომებს ასახელებენ, რაც მათი აზრით, სტრატეგიული ხედვის და მოსახლეობასთან კომუნიკაციის სიმწირეში გამოიხატება.

ექსპერტები ამბობენ, რომ ცალკეულ შემთხვევაში, რუსეთის მიმართ დამოკიდებულების ფორმირებას, განსაკუთრებით ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, შესაძლოა განაპირობებდეს მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობებიც.

ბავშვები ქვეყნის მომავალია!

ხარისხიანი სკოლამდელი განათლება

● თავდაპირველად დავიწყოთ იმით, თუ რა სახის რეფორმები განხორციელდა ბოლო წლების მანძილზე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში და კონკრეტულად ბორჯომის მუნიციპალიტეტში?

- 2022 წლიდან ბორჯომის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ შეირჩა 3 საპილოტე მუნიციპალიტეტს შორის, სადაც დაინერგა და აქტიურად ხორცილდება ახალი პროექტი კურიკულუმი „თამაში“, რომელიც ითვალისწინებს სწავლებას თამაშით და გათვლილია ბავშვის ინტერესებზე და მათ ჰოლისტურ განვითარებაზე.

● გადამზადებულ და სერტიფიცირებულ პედაგოგთა კონტიგენტი რომელიც აუცილებლად უნდა გასხენოთ. რამდენი ასეთი აღმზრდელ-პედაგოგი ემსახურება დღეს ბორჯომელი პატარების აღზრდა-განათლებას?

- ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ გამოიყო თანხები და 2022-2023 წლებში სრულად გადამზადდა. დაწესებულებების აღმზრდელები და მუსიკის მასწავლებლები 66 საათიანი ტრენინგ მოდულით. ამ ეტაპზე ბორჯომის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება პირველი და ერთადერთია სადაც საშტატო ნუსხაში გაჩნდა აღმზრდელ-პედაგოგის პოზიცია და დასაქმდა 25 აღმზრდელი, რაც განაპირობებს ხარისხიანი სკოლამდელი განათლების მინოდებას ჩვენი აღსაზრდელებისათვის. ასევე გადამზადდა თერთმეტივე საბავშვო ბაღის თითოეული ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალი და ექთნები პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიმართულებით და გადაეცათ შესაბამისი სერთიფიკატები. მინდა აქვე აღვნიშნო, რომ თერთმეტივე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში წარმატებით დაინერგა „ჰასპის“ სტანდარტი, რომელიც ითვალისწინებს სურსათის უვნებლობის სისტემებს. ახალი სასწავლო წლიდან უფრო მეტად მრავალფეროვანი გახდა ჩვენი მენიუ, დაემატა რძის პროდუქტები, ხილი და ბოსტნეული. თერთმეტივე საბავშვო ბაღი აღიჭურვა კომპიუტერებით და მრავალფინქციური პრინტერებით.

● რამდენად აუცილებელი და მნიშვნელოვანია ადგილობრივი მუნიციპალიტეტის როლი და მხარდაჭერა თქვენი გაერთიანების საქმიანობის პროცესში?.

- მუნიციპალიტეტის როლი მნიშვნელოვანი და იმდენად აუცილებელია, რომ ბორჯომის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება 100%-თ ფინანსდება ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან. აქვე მინდა გულწრფელი მადლობა გადავუხადო მუნიციპალიტეტის მერიას, საკრებულოს და მუნიციპალიტეტის აიპს სამსახურებს, რომლებიც მუდმივად მზად არიან დაგვეხმარონ და ყველა პრობლემა დროულად და ხარისხიანად მოგვიგვარონ.

● მუნიციპალიტეტში არსებულ რამდენიმე სოფელში სამწუხაროდ, წლებია არ არსებობს საბავშვო ბაღი. რომელ კონკრეტულ სოფლებზეა საუბარი?

- პრემიერ-მინისტრის ინიციატივით მომავალი წლიდან იგეგმება ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა და ერთ ერთია ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ტაბაწყურში ახალი ბაღის მშენებლობა.

● მნიშვნელოვანია, რა სახლეებით შესვდება გაერთიანება ახალ სასწავლო წელს?

- ყველაზე მნიშვნელოვანი და უმთავრესი რამ, რასაც ვგეგმავთ ახალი სასწავლო წლიდან ხელმისაწვდომობის მიზნით მუნიციპალიტეტის დახმარებით, გახლავთ ის, რომ იმ სოფლებში, სადაც ბაღები არ გვაქვს, ბავშვების ტრანსპორტირება მოვახდინოთ უახლოეს საბავშვო ბაღებში.

ესაუბრა ნატო მელიქიძე

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ კანონის მიღება და ადრეული და ერიოვნული სტანდარტების შემუშავება ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპები იყო საქართველოში სკოლამდელი განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

გაუმჯობესებული კვების სისტემა, მუდმივად განვითარებაზე ორიენტირებული აღმზდელ-პედაგოგთა კონტიგენტი, სწავლებისათვის საჭირო და აუცილებელი რესურსები და ა.შ მცირედი ჩამონათვალია იმ ყველაფრისა, რასაც საქართველოში არსებულ კერძო თუ სახელმწიფოს დაქვემდებარებაში არსებულ საბავშვო ბაგა-ბაღებში თავაზობენ აღსაზრდელებს.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება „ბორჯომის ჯანმრთელი მომავალი“-ს შემადგენლობაში სულ 11 საბავშვო ბაღია, აქედან 4 ქალაქში, 2 დაბაში, 5 კი სოფლად. რაც შეეხება სოფელ ქვაბისხევს, ადგილობრივ აღსაზრდელთა ტრანსპორტირება დვირის საბავშვო ბაღში ხდება.

რა სახის სიახლეები დაინერგა ბოლო წლების მანძილზე ბორჯომის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში და დამატებით რა სიახლეებით შეხვდებიან რაიონში არსებული ბაგა-ბაღები ამ და სხვა საკითხებზე გვესაუბრება გაერთიანების ხელმძღვანელი ქალბატონი ნინო ბენდელიანი.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოსა და ქალთა ოთახის ორგანიზებით, კულტურისა და ხელოვნების ცენტრში ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა.

№1 საჯარო სკოლის მოსწავლემ **ლიზი ჩხეტიამ**, №3 საჯარო სკოლის მოსწავლემ **ლიზი ნატბელაძემ** და №6 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა - **ლიზა კობალაძემ** და **გვანცა მაისურაძემ** დეტალურად ისაუბრეს ბორჯომის მუნიციპალიტეტში არსებული ყველა საბავშვო ბაგასა და ბაღის შესახებ.

ღონისძიება მიმდინარეობდა მევიოლინე **თეა მანჩხაშვილის,** ვოკალური ანსამბლი „ბორჯომის“ და ქორეოგრაფიული ანსამბლები „ფერხისა“ და „იმედის“ მიერ შესრულებული მუსიკალური ნომრების ფონზე.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილი,** მისი მოადგილე **ნიკოლოზ კიკნაძე,** მერიის კულტურის განყოფილების უფროსი **შალვა გოგოლაძე,** ადგილობრივი თვითმმართველობის და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების წარმომადგენლები.

ღონისძიების დასასრულს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ყველა ბაგასა და ბაღს გენდერული თანასწორობის საბჭოსგან სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ.

მიეძღვნა ბავშვთა დაცვის დღეს!

ДАШВИНГЧАРО БЕЧЕТАКЛО ГВАЧУЧЕС!

2023 წლის 17 მაისი დიდხანს დაამახსოვრდება ბორჯომის საზოგადოებას ის არაჩვეულებრივი, მაღალაკადემიური ღონისძიება, რომელიც ბორჯომის №1 საჯარო სკოლის მეთორმეტე კლასელებმა და მათ დამრიგებლმა, ქალბატონმა **ლია გულიკაშვილმა** აჩუქა ადგილობრივ მაყურებელს, მსმენელს. თითქოს ბოლო ზარისთვის მიძღვნილი ღონისძიება უნდა ყოფილიყო გართობაზე, სკოლის წლების მოგონებაზე ორიენტირებული, მაგრამ ამ ბანალური მიდგომიდან სრულიად განსხვავებული „დამშვიდობება“ გვისახსოვრეს მათ. ფაქტიურად, გადაუჭარბებლად, რომ ვთქვათ - ეს იყო სპექტაკლი, მსახიობებით, რეჟისორით, მუსიკალური გაფორმებითა და ქორეოგრაფიით გემოვნებით აწყობილი ერთიანი სიუჟეტი. ჩვენ მშობლებმა, გულშემატკივრებმა, პედაგოგებმა ახლა აღმოვაჩინეთ ახალი მსახიობური ნიჭი მეთორმეტკლასელების სახით, ახალი რეჟისორი - კლასის ხელმძღვანელი და იმ ჰარმონიის შემქნელი ცეკვა-მუსიკას რომ აერთიანებს - **ნათია ხვედელიანი.** უღრმესი მადლობა თითოეულს ასე მოულოდნელად საუკეთესო წარმოდგენისთვის. გადმოცემული გახლდათ XX საუკუნის ეპოქა ცისფერყანწელთა მათი საზოგადო და პირადი ცხოვრების დეტალები, რომელიც არასდროს ყოფილა დაბრკოლებებისა და ქაოსის გარეშე. მათი მისწრაფებები, იდეები რომ დღესაც ასე აქტუალურია, დღესაც ასე მიმზიდველია ახალგაზრდების „აჩქროლებული“ გულებისთვის, პიროვნული ინდივიდუალიზმი და ადამიანური ღირსება რომ დღესაც მთავარ ღირებულებად გააჩნიათ ამ თაობას - ეს იყო ალბათ რეჟისორის, დამსახურებული პედაგოგის, ლია გულიკაშვილის სათქმელიც! მადლობა მას, რომ ამდენი ცხოვრებისეული ცდუნების ფონზე შვილები გაგვიზარდა სწორი ფასეულობებით, რთული, მაგრამ საამაყო **გზით იბრძოლა მათთან ერთად, რათა ამ დღეს გვეთქვა ყველას ერთხმად: სახელოვანი შვილები მოდიან მომავლიდან ქვეყნის სადარაჯოზე, პოეზიის მყვარებელნი, ბილწი რეალობიდან შორს მდგარნი! მათ ნათლად, მკაფიოდ დაანახეს ამდენი წლის ჩრდილქვეშ შენახული ნიჭიერება და ამოიტანეს ის დღის სინათლეზე! მაღლა! გავა წლები და მხატვრულ ნაწარმოებად ჩაითვლება თქვენი „აღსარება“,** როგორც სიტყვა დამრიგებლის მიერ წარმოთქმული: **„არა არს კაცი, რომ არ ცხონდეს და არ ცოდოს“** ეპიგრაფად სახარებიდან. **„მე მრავალი ცოდვა მიმიძღვის ამქვეყნად, როგორც ადამიანს, ისე, როგორც პედაგოგს თქვენი ღირსება და ნაკლი გულით მიტარებია; მკაცრიც ვიყავი და ლმობიერიც, ამაყიც ვიყავი და თავმდაბალიც, მომთხოვნიც ვიყავი და დამთმობიც; თქვენთან ერთად დღედაღამ ვშრომობდი და შედეგზე გასასვლელად ღამეები მითენებია; კოცონზე „ავთანდილის“ მწვადიც აგვიშიშინებია და წმინდა მიწაზე, რუსთაველის ნაკვალევზე, ჩვენივე თანამემამულის, მარინა გელაშვილის დახმარებით ვირტუალურად გვიმოგზაურია; სამშობლოს უბედობით ბევრჯერ გვიღვრია ცრემლი და შემდეგ პრეზენტაციებად დაგვიგვირგვინებია; მთელი რვა წელი თქვენი ცხოვრებით მიცხოვრია; ქვეყნის, ერის, ერთურთის გატანა, თანაგანცდა და სიყვარული მისწავლებია; შურისა და ბოროტებისათვის კუთილი ფარად ამიფარებია, ამიტომაც ჩვენი ერთგულების, სიყვარულისა და ერთობისათვის მტერს ვერაფერი დაუკლია! მადლობა თქვენ, ჩემო მოსწავლეებო და მშობლებო! ამ ყოველივეში თანამშრომლობისა და თანადგომისათვის! თქვენი ლია მასწი“.**

მოლიკა ჭანტურია,
კორესპონდენტი და მშობელი

პროექტში გამარჯვებულები

„FLEX”-ის გაცვლით პროგრამაში საქართველოდან გამარჯვებულ 70-მდე მოსწავლეს შორის ორი ბორჯომიდანაა. **ანა ბიწაძე** №6 საჯარო, ხოლო **ანა დარსანია** №1 საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლეები არიან. გოგონები ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთი წლის განმავლობაში ისწავლიან. ვისთვისაც პროგრამის შესახებ დეტალები უცნობია, გეტყვით იმას, რომ FLEX” გახლავთ გაცვლითი პროგრამა, რომელიც IX, X, XI კლასის მოსწავლეებს მთელი საქართველოს მასშტაბით საშუალებას აძლევს ერთი აკადემიური წელი აშშ-ში გაატარონ. იცხოვრონ მასპინძელ ოჯახში, გაეცნონ ამერიკულ კულტურას. ყოველ წელს არჩევენ 70 ფინალისტს საქართველოდან, რომელთა ამერიკაში გამგზავრების, ვიზის და იქ ცხოვრების ხარჯებს (სტიპენდიის საშუალებით) თავად პროგრამა უზრუნველყოფს.

პროგრამას სამი შესარჩევი ტური აქვს. პირველი ტური მოიცავს სამი ესეს დაწერას (ესეებში იგულისხმება იგივე ვრცელი პასუხები კითხვებზე, რომლებიც ეხება ჩვენს ცხოვრებისეულ გამოცდილებებს), მეორე ტურში ავტომატურად გადის ყველა მონაწილე და ის მოიცავს 15-წუთიან ინგლისურის მარტივ ტესტს.

ხოლო რაც შეეხება მესამე ეტაპს, მესამე ეტაპი მოიცავს ისევ 3 ესეს, ჯგუფურ სამუშაოს გამარჯვების შემდეგ მოსწავლეები ნაწილდებიან განმასახლებელ ორგანიზაციებში და შემდგომ, ეს ორგანიზაციები პოულობენ ოჯახებს მათთვის.

გოგონებმა გამარჯვების შესახებ მარტში გაიგეს. მათთვის აღნიშნული ფაქტი ნამდვილად მოულოდნელი აღმოჩნდა. მათ საკუთარი ემოციების და მომავალი გეგმების გაზიარება ვთხოვეთ.

ანა ჯარსანია ბორჯომის №1 საჯარო სკოლის მოსწავლე: - 20 მარტს გავიგე, რომ გამარჯვებული ვიყავი. თავდაპირველად, რა თქმა უნდა, ძალიან აჟიტირებული და გახარებული ვიყავი, გამარჯვების შესახებ რომ შევიტყვე. დროსთან ერთად ეს აჟიტირება ნელ-ნელა შენელდა, მაგრამ სიხარული სიხარულადვე რჩება. ჯერჯერობით კიდევ არარეალურად მეჩვენება ის შესაძლებლობა, რაც მომეცა და ალბათ შტატებში ჩასვლამდე ბოლომდე ვერ ვაანალიზებ რეალობას. რაც შეეხება უკვე ამერიკაში წასვლის შემდგომ გეგმებს, ასეთი მაქვს, რომ რაც შეიძლება ნაყოფიერად გამოვიყენო გაცვლითი წელი, როგორც აკადემიური ისე პიროვნული განვითრებისათვის და მიღებული ცოდნა ჩემ ქვეყანას მოვახმარო.

ანა ბიწაძე ბორჯომის №6 საჯარო სკოლის მოსწავლე: - გამარჯვების შესახებ გავიგე მარტის ბოლოს. სრულიად მოულოდნელი იყო და, რა თქმა უნდა, სასიამოვნოდ გასაოცარი. თავიდან, როდესაც ფლექსის გუნდისგან ზარი მივიღე, ვერ გავაანალიზე რეალურად რა ხდებოდა. მეც და მშობლებიც ემოციებმა აგვიტაცა. თავდაპირველ ნერვიულობას იმის სიხარული მოჰყვა, რომ მალე ამერიკაში სწავლას შევძლებდი. შტატის შესახებ შტატის შესახებ ცოტა ხნის წინ გავიგე. კანზასის ერთ-ერთ პატარა ქალაქში, უსაყვარლეს ოჯახში, დიდ სკოლაში, მყუდრო და სასიამოვნო გარემოში მოვხვდი. ვფიქრობ, ამერიკა საშუალებას მომცემს საუკეთესოდ გავაცნო მსოფლიოს საქართველო, სხვადასხვა ხალხთან კომუნიკაციითა და გამოცდილების მიღებით შევძლო, რომ გავხდე ღირსეული მოქალაქე. ვეცდები, მაქსიმალურად ვიაქტიურო იმისთვის, რომ სარგებელი მოვუტანო ამერიკას, საქართველოს და ჩემს თავს.

ესაუბრა ნატო მელიქიძე

ვუსურვებთ!

მაღალყოვლადუსამღვდელოესი ჭიათურისა და საჩხერის, ბორჯომისა და ბაკურიანის მიტროპოლიტი, მეუფე დანიელ დათუაშვილი დღეს იუბილარია.

თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობავ, დიდი პატივისცემით და სიყვარულით გილოცავთ დაბადების დღეს! გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და მხნეობას!

ბორჯომის მუნიციპალიტეტი

მერაბ კოსტავა და 26 მაისი



გისურვებთ სულ მალე თქვენი საყვარელი საქართველოს სრულ დამოუკიდებლობას! - ეს 1989 წელს მერაბ კოსტავას წარწერა და სურვილია, რომელსაც 26 მაისს 84 წელი შეუსრულდებოდა! არანან პიროვნებები საქართველოს ისტორიაში, საბედნიეროდ ისეთები, ვისზეც თამამად ამბობენ, რომ მან იმ კონკრეტულ დროს და პერიოდში გადაარჩინა ქართული ეროვნული სული. ასეთ სიმბოლურად საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს უნდა დაბადებულიყო - მერაბ კოსტავა! კაცი, რომლის ძარღვებშიც ყველაფერი ეროვნული დუღდა და ერთიანობის შეკვრაც არ გასჭირვებია თავის თანამოაზრესთან ერთად. გადის წლები და როგორ ვაფასებთ სიკვდილის შემდეგ? მომავალ თაობას ხშირად ვესაუბრებით მასზე, ვაკითხებთ ჩანაწერებს, ვაყურებინებთ კადრებს, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია მათ ყურამდე, თვალამდე, შეგნებამდე მიიყვანო განუმეორებელი მუხტი სამშობლოს მოყვარული ადამიანებისა. რა უნდოდათ მათ? საქართველოსთვის მოპოვებული დამოუკიდებლობის შენარჩუნებისთვის ბრძოლა! არცერთი წამი მიძინება! მხოლოდ ფხიზელი გონებით დგომა იქ, სადაც საფრთხე ელოდება ქვეყნის სუვენერიტეტს. მერაბ კოსტავას დაღუპვიდან 33 წელი გასულა. მთაწმინდის მწერალთა და მოღვაწეთა პანთეონში განსვენებს - იქ, სადაც ზვიადი ჰყავს, ილია ჰყავს - ყველანი, ვისი ფიქრიც საქართველოთი იწყებოდა და მთავრდებოდა! გამოცემულია მისი პოეზია, წიგნი-ალბომი, მონოგრაფიები, მაგრამ მაინც არაა საკმარისი. ყველა ქალაქში არსებობს მისი ბიუსტი, სახელობის სკოლა, სკვერი, თეატრი, ქუჩა. ბორჯომსაც ამშვენებს მერაბ კოსტავას სახელობის შეანშნავი ბაღი, მოედანი, ქუჩა, სადაც გაიმართა კიდეც სრულიად სამართლიანად 26 მაისისადმი მიძღვნილი გრანდიოზული ღონისძიება. მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა შორის გაისმა შემდეგი იდეაც: ზვიადის და მერაბის ძეგლი დაიდგას თბილისში. ისე, კი მოუხდებოდა მათ მეგობრობის, თანამოაზრეობის სიმბოლოდ ასეთი სახელიც: „მწუხარე სახის რაინდები"! რატომ მწუხარე? გული ფეთქავდა სამშობლოზე დარდით და ამიტომ! ნეტავ, ისინი რომ ოცნებობდნენ, ისეთ საქართველოს ჰგავს დღეს ჩვენი ქვეყანა? ვუმართლებთ კი მოლოდინს ჩვენს გმირებს?

მუხრან ჭანტურია

მორალის თემაზე

ზნეობისაგან დაცლილი

12 მაისს სუპერმარკეტ „გუდმარტში" შესულ მაიკო აბზიანიძეს საკუთარი შვილის შესაწირისათვის არსებული ყუთი ადგილზე აღარ დახვდა. მაიკოს 8 წლის შვილს დავით (დადუ) ხადურს, თანდაყოლილი მრავლობითი პათოლოგია აქვს და ის მუდმივად ექიმების მეთვალყურეობასა და მკურნალობას საჭიროებს. სწორედ აღნიშნული პრობლემებიდან გამომდინარე დადუს დედამ სუპერმარკეტ „გუდმარტის" ხელმძღვანელობის მხარდაჭერითა და გვერდში დგომით რამდენიმე თვის წინ დადგა აღნიშნული ყუთი და ამდენი თვის მანძილზე იქ ხელუხლებლად იდო. როდესაც მაიკომ შენიშნა, რომ ყუთი იქ აღარ იყო, არსებული ფაქტის შესახებ სუპერმარკეტის მეპატრონეს შეატყობინა. სუპერმარკეტის ადმინისტრაციამ გადაამოწმა სათვალთვალო კამერები, რომლის მეშვეობითაც გაირკვა, რომ მარკეტის თანამშრომლებიდან ყუთი არავის ქონდა აღებული. უფრო კონკრეტულ დეტალებზე მაიკო აბზიანიძეს ვთხოვეთ რომ გაზეთ „ბორჯომთან" ესაუბრა.

- როდესაც ყუთი ადგილზე არ დამხვდა „გუდმარტის" მეპატრონეს შევატყობინე და სწორედ მან გაარკვია, რომ თანამშრომლებიდან არავის არ ქონდა აღებული. ამის შემდეგ კამერები გადავამოწმეთ, რის საფუძველზეც გაირკვა, რომ ყუთი მოიპარეს. თავიდან ძალიან შემეცოდა, ვიფიქრე, იმდენად უჭირდა, რომ ჩემი შვილის ყუთი აიღო, თუმცა კამერებში ჩანს, რომ პიროვნება მანევრულად იქცევა და ის არა მარტო ჩემი შვილის ყუთს იღებს, არამედ სხვა ბავშვების ყუთებსაც, რომელიც იქ იდო. როდესაც დადუს ყუთი აიღო და მასზე ბოქლომი ნახა და მიხვდა, თანხას ვერ ამოიღებდა იქიდან, ისე მოიქცა, თითქოს გასაღებს ეძებდა, ამიტომაც ვერავინ მიიტანა ეჭვი, თანაც ეს პიროვნება ხშირად დგას ხოლმე ყუთებით. დამლაგებელს შეუთავაზებია კიდეც, რომ გასაღებს მოგცემო, თუმცა არ მინდაო - უთქვამს, ჩაუდია და წაუღია. აღნიშნული ფაქტი დაინახა მხოლოდ რამდენიმე ადამიანმა. როგორც ჩანს, ეს ბიჭი ცხოვრობს სხვების ხარჯზე. პოლიციას შევატყობინე და საბედნიეროდ, მათი მყიფიერი რეაგირების შედეგად ყუთი და ადამიანების მიერ გაღებული თითოეული თეთრი უკან დაგვიბრუნდა. დიდი მადლობა ყველას, ვისაც წვლილი მიუძღვის ამ საქმეში. სხვა დეტალებს ვერ გავასაჯაროვებთ, რადგანაც გამოძიება დასრულებული არ არის. ყველაზე მნიშვნელოვანი გახლავთ ის რომ, დამნაშავე ბორჯომელი არ აღმოჩნდა.

P.S. ჩადენილ დანაშაულს რა კომენტარი შეიძლება გავუკეთო არც კი ვიცი და იმ პიროვნებას ადამიანი როგორ ვუწოდო საერთოდ? უბრალოდ ვიტყვი იმას, რაც მოხდა ყოველგვარი ზნეობისაგან და ადამიანობისაგან ძალიან შორსაა. ნამდვილად არა აქვს მნიშვნელობა ადამიანს თუ რამდენად უჭირს. განა ადამიანობაზე ძვირფასი რამ არსებობს ამ ქვეყანაზე? ეცადეთ, ნებისმიერ დროს დარჩეთ ადამიანად.

ნატო მელიძე

ლამარა ქობაძე-გელაშვილის მოსაგონარი

ჩემო ლამარა უბედნიერესები ვაყავით, როცა პატარები გვყავდნენ ბიჭები, მაგრამ ბედნიერება არ დაგვცალდა, ჯერ დათო დაგვეღუპა და მერე გიორგი, სრულიად ჯანმრთელები, უკვე ვაჟკაცები. დარდმა და მწუხარებად იმდენი ქნა, შენი თავიც წამართვა. 2 წელია შვილებთან დავით და გიორგი გელაშვილებთან წახვედი, ვაჟებს იმქვეყნად შესვდებოდი, ალბათ გაიხარე. სიცოცხლეში სულ იმას იძახდი, ნეტავ სიზმარში მაინც მაჩვენაო.

მე აქეთ გამწარებული დამტოვე, ჩემ თავს არ დავეძებ. მენატრებით ჩემო ლამარა, ჩემზე არ იდარდო, კატარზისში ვაყოლებ გულს ამ უდიდეს დარდს. ძალიან მიჭირს უთქვენოდ ყოფნა. მუდამ გულისტკივილით გისსენებენ დედმამიშვილები და მათი შთამომავლები, მეგობრები, თვალცრემლიანი და დადარდიანებული მოდის საფლავიდან შენი ლალი მაისურაძე.

თქვენი დარდიანი
მერაბ გელაშვილი (ბიბიკოვიჩი)

დავით პეტროსიანის გახსენება

ორმოცი დღეა რაც აღარ ხარ ჩვენთან, ღმერთთან გაფრინდა შენი სული. 27 მაისს 72 წელი შეგისრულდებოდა. ეს დაბადების დღე განსაკუთრებით მძიმე იყო ჩვენთვის, უშენო დაბადების დღე... მარტო ჩვენ არ დაგვწყვიტე გული შენი წასვლით, ყველას დაეანე, ყველა გიცნობდა, ადგილობრივებიც, ჩამოსულებიც. ყველას კარგად ახსოვხარ. სამწუხაროდ უძლურები ვართ ბუნების წინაშე, ჩვენ გვინდა, რომ ჩვენი ახლობლები მუდამ გვერდით გვყავდეს, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არაა...

ნათელში იყავი, უფალს ებარებოდე, მუდამ გვემახსოვრები...

შენი ოჯახი

ჯილდოები წარმატებულ მოსწავლეებს

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მუდმივმოქმედი კომისიის სხდომა გაიმართა.

კომისიის წევრებმა ბორჯომის №3 საჯარო სკოლის წარმატებულ მოსწავლეს **დიმიტრი ჯაფარიძეს,** რომელიც უნგრეთის ერთ-ერთ ცნობილ უნივერსიტეტში სრული დაფინანსებით ჩაირიცხა და ბაკალავრის საფეხურზე საერთაშორისო ბიზნესსა და ეკონომიკას შეისწავლის, დიპლომი და პლანშეტი გადასცეს.

მას სხვა უნივერსიტეტებიდანაც მოუვიდა დადებითი პასუხი, თუმცა უკეთესი პირობების გამო, არჩევანი ბუდაპეშტის ბიზნეს სკოლაზე შეაჩერა.

ასევე, დიპლომები და ფულადი თანხა გადაეცათ ბორჯომის სამუსიკო სკოლის წარმატებულ მოსწავლეებს **ლიზი ხაჩიძეს, ოთარ ოთარაშვილს** და მათ პედაგოგს **მარინე რატიანს.**

ქ. პრაღაში გამართულ საერთაშორისო კონკურს-ფესტივალზე "ART DUO", **ლიზი ხაჩიძემ I ადგილი დაიკავა, ოთარ ოთარაშვილმა კი - II.**

ამავე კომისიის სხდომაზე, გენდერული თანასწორობის საბჭოსთან თანამშრომლობისათვის და აქტიური მხარდაჭერისთვის მადლობის სიგელები გადაეცათ ა(ა)იპ ბორჯომის სამუსიკო სკოლას, ამავე სკოლის პედაგოგს თეა მანჩხაშვილს და ანსამბლ „ოქტავას".

ვუსურვოთ წარმატებები

ბორჯომის №3 საჯარო სკოლის მოსწავლე, 15 წლის **გიორგი მესხი,** ჭადრაკში 16-18 წლამდე ასაკის ვაჟთა შორის სამცხე-ჯავახეთის და შიდა ქართლის რეგიონული ტურნირების ჩემპიონია. მიმდინარე წელს მან ორჯერ მოიპოვა საჭადრაკო კლუბ „ოლიმპიური ჩემპიონატის" მესამე თანრიგის პირველი ადგილი.

გიორგი მესხი დაიბადა 2008 წელს ქალაქ ბორჯომში. ჭადრაკში მეცადინეობა 9 წლის ასაკში **უშანგი ჯანგირაშვილთან** დაიწყო.

იგი საქართველოში გამართული არაერთ ტურნირის მონაწილე და გამარჯვებულია.

ჭადრაკის თამაშის პარალელურად გიორგი მესხი წარჩინებული მოსწავლეა. მას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან მოსწავლეთა წახალისების პროექტის ფარგლებში, გასულ წელს პორტაბელური კომპიუტერი გადაეცა.

პედაგოგები გიორგი მესხს წარმატებულ მომავალს უნინასწარმეტყველებენ.

ბორჯომის მუნიციპალიტეტში ა(ა)იპ სასპორტო სკოლის ორგანიზებით, 20-21 მაისს ძიუდოში ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის თასის ტურნირი გაიმართა, რომელშიც საქართველოს სხვადასხვა ქალაქიდან ჩამოსული 30-მდე გუნდი და 500-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა.

შეჯიბრება 20 წონით კატეგორიაში მიმდინარეობდა, როგორც ბიჭებს, ასევე გოგონებს შორის.

საპრიზო ადგილზე გასული მონაწილეები მედლებით, სიგელებითა და თასით ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ **გიორგი ტაბატაძემ,** საკრებულოს თავმჯდომარემ **დავით ზაალიშვილმა,** მისმა მოადგილემ **ნიკოლოზ კიკნაძემ** და საკრებულოს დეპუტატმა **მერაბ იობაშვილმა** დააჯილდოვეს.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებული ტურნირ წელს მესამედ გაიმართა.

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59

რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.

გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.

მისამართი: **ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „საარში". თბილისი, თევდორე მღვდლის №57**

borjomi@inbox.ru

რედაქტორი: ვალერიან ლომიძე